საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ცვლილებები წესებში
2022/23

წესებში ძირითადი ცვლილებების მოკლე მიმოხილვა

წესი 3 - მოთამაშეები

- დროებითი ცვლილება, რომელიც უმაღლესი დონის შეჯიბრებებს არჩევის უფლებას აძლევს ნება დართოს გუნდებს გამოიყენონ არაუმეტეს ხუთი სათადარიგო მოთამაშე (შეზღუდული რაოდენობის შეცვლების შესაძლებლობით), ხდება მე-3 წესის ნაწილი
- შეჯიბრების წესებმა ეხლა შესაძლოა დაუშვას არაუმეტეს 15 სათადარიგო მოთამაშის შეყვანა განაცხადში

წესი 8 - თამაშის დაწყება და განახლება

- დაზუსტება, რომ მსაჯი კენჭს ყრის მოედნის „მხარეების“ და საწყისი დარტყმის განსასაზღვრავად

წესი 10 - მატჩის შედეგის განსაზღვრა

- დაზუსტება, რომ გუნდის ოფიციალური პირი შეიძლება გაძევებული იქნას 11 მ დარტყმების შესრულებისას

წესი 12 - წესების დარღვევები და უდუსციპლინო საქციელი

- დაზუსტება მეკარის მიერ საკუთარ საჯარიმო მოედანში ჩადენილი დარღვევების შესახებ

წესი 12 – წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი

- დაზუსტება თავისუფალი/საჯარიმო დარტყმის ადგილის შესახებ, რომელიც

დანიშნულია, როდესაც მოთამაშე ტოვებს სათამაშო მოედანს მსაჯის ნებართვის გარეშე და შემდეგ ჩაიდენს დარღვევას უცხო პირის წინააღმდეგ

წესი 14 – 11 მ დარტყმა

- დაზუსტება მეკარის პოზიციის შესახებ 11 მ დარტყმამდე და მისი შესრულებისას

წესებში ყველა ცვლილების დეტალი 2022/23

ქვემოთ მოყვანილია თამაშის წესების ყველა ცვლილება 2022/23 წლების გამოცემისთვის. ყოველი ცვლილებისთვის მოყვანილია ახალი/შეცვლილი/დამატებული ტექსტი და სადაც შესაძლებელია, ძველი ტექსტიც - მას მოჰყვება ყოველი ცვლილების განმარტება.

წესი 3 - მოთამაშეები - დამატებითი სათადარიგოები უმაღლესი დონის შეჯიბრებებისთვის

2. შეცვლების რაოდენობა

შეცვლილი ტექსტი

ოფიციალური შეჯიბრებები

შეცვლების რაოდენობა - არაუმეტეს ხუთი, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი ოფიციალური შეჯიბრების მატჩში, განსაზღვრული იქნება FIFA-ს, კონფედერაციის ან ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის მიერ. ~~გარდა~~ მამაკაცთა და ქალთა შეჯიბრებებისთვის უმაღლეს ლიგაში, კლუბების პირველი გუნდების ან "A" კატეგორიის ეროვნული გუნდების მონაწილეობით, სადაც ~~დაშვებულია არაუმეტეს სამი შეცვლა.~~ შეჯიბრების წესები უშვებს მაქსიმუმ ხუთი სათადარიგო მოთამაშის გამოყენებას, ყოველ გუნდს:

- გააჩნია არა უმეტეს სამი შეცვლის პროცედურის შესაძლებლობა*
- შესვენებისას შეუძლია დამატებით განახორციელოს შეცვლა

*როდესაც ორივე გუნდი ერთდროულად ახორციელებს შეცვლას, ეს ჩაითვლება, როგორც შეცვლების გამოყენებული შესაძლებლობა ორივე გუნდისთვის. თამაშის იმავე შეჩერებისას გუნდის მიერ განხორციელებული შეცვლა (და მოთხოვნა) დაითვლება, როგორც შეცვლის ერთი გამოყენებული შესაძლებლობა.

დამატებითი დრო

- თუ გუნდს არ გამოუყენებია სათადარიგოების ან/და შეცვლების შესაძლებლობის მაქსიმალური რაოდენობა, ნებისმიერი გამოუყენებელი სათადარიგო ან შეცვლის განხორციელების შესაძლებლობა შეიძლება გამოყენებული იქნას დამატებით დროში
- იქ, სადაც შეჯიბრების წესები ნებას რთავს გუნდებს გამოიყენონ ერთი დამატებითი სათადარიგო მოთამაშე დამატებით დროში, ყოველ გუნდს ექნება ერთი დამატებითი შეცვლის განხორციელების შესაძლებლობა
- შეცვლები ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ძირითადი და დამატებითი დროის დაწყების შორის პერიოდში და შესვენებისას დამატებითი დროის ტაიმებს შორის - ეს არ ჩაითვლება, როგორც გამოყენებული შეცვლების შესაძლებლობა

განმარტება

მე-3 წესის დროებითი ცვლილება, რომელიც არჩევის უფლებას აძლევს შეჯიბრებებს, რომლებშიც მონაწილეობენ უმაღლესი ლიგის პირველი გუნდები ან საერთაშორისო „A“ კატეგორიის გუნდები, ნება დართოს მათ მატჩში არაუმეტეს ხუთი სათადარიგოს გამოყენება (შეცვლების შესაძლებლობების ლიმიტით), ახლა ხდება მე-3 წესის ნაწილი.

დამატებით, შეჯიბრების წესები ახლა უშვებს განაცხადში არაუმეტეს 15 სათადარიგოს შეყვანას.

წესი 8 - თამაშის დაწყება და განახლება: მსაჯის მიერ ჩატარებული კენჭისყრა

1. საწყისი დარტყმა

შეცვლილი ტექსტი

პროცედურა

- მსაჯი ატარებს კენჭისყრას და გუნდი, რომელიც მოიგებს მას ~~კენჭისყრას,~~ ირჩევს (...)

განმარტება

კენჭისყრაზე მოედნის „მხარეების“ და საწყისი დარტყმის განსასაზღვრავად პასუხისმგებელია მსაჯი და შესაბამისი ტექსტი თანხვედრაში უნდა იყოს მე-10 წესთან.

წესი 10 -მატჩის შედეგის განსაზღვრა: მატჩის ოფიციალური პირები

1. 11მ დარტყმები

შეცვლილი ტექსტი

შეცვლები და გაძევებები დარტყმების შესრულებისას 11 მ ნიშნულიდან

- მოთამაშე, სათადარიგო, შეცვლილი მოთამაშე ან გუნდის ოფიციალური პირი შეიძლება იყოს გაფრთხილებული ან გაძევებული

განმარტება

გუნდის ოფიციალური პირის გაფრთხილების ან გაძევების შესაძლებლობის დადასტურება დარტყმებისას 11 მ ნიშნულიდან.

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი: მეკარის მიერ ბურთზე ხელით თამაში

3. სადისციპლინო სანქცია

გოლის ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის წართმევა

დამატებული ტექსტი

როდესაც მოთამაშე წაართმევს მეტოქეს გოლს ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას ბურთზე ხელით თამაშით ჩადენილი დარღვევით, იქნება გაძევებული, სადაც არ უნდა მოხდეს დარღვევა (გარდა მეკარისა მის საკუთარ საჯარიმო მოედანში).

განმარტება

მინიშნება ხელით თამაშზე მე-12 წესის იმ სექციაში, რომელიც ეხება გოლის ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის წართმევას, შესაძლოა არასწორად იყოს ინტერპრეტირებული, იმ მნიშვნელობით, რომ მეკარე შეიძლება გაძევებული იქნას მის საკუთარ საჯარიმო მოედანში ბურთზე ხელით თამაშით ჩადენილი დარღვევისთვის, ამიტომ დამატებული იქნა მე-12 წესის იმ სექციაში გამოყენებული “ფრჩხილი”, რომელიც ეხება „დარღვევებს, რომლებიც ისჯება გაძევებით“.

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი: სათამაშო მოედნის დატოვება, რათა ჩადენილი იქნას დარღვევა უცხო პირის წინააღმდეგ

1. თამაშის განახლება წესების დარღვევების და უდისციპლინო საქციელის შემდეგ

შეცვლილი ტექსტი

თუ მსაჯი აჩერებს თამაშს დარღვევისთვის, რომელიც ჩაიდინა მოთამაშემ უცხო პირის (ან ცხოველის, საგნის და ა.შ.) წინააღმდეგ სათამაშო მოედანზე ან მის მიღმა, თამაში განახლდება „სადავო“ ბურთის გდებით. იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დანიშნულია ~~საჯარიმო/~~თავისუფალი დარტყმა მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედნის დატოვებისთვის: თავისუფალი დარტყმა შესრულდება მოედნის შემომსაზღვრელი ხაზის იმ წერტილიდან, სადაც მოთამაშემ დატოვა სათამაშო მოედანი.

განმარტება

წესი ნათელია, რომ საჯარიმო/თავისუფალი დარტყმა არ შეიძლება დანიშნული იქნას უცხო პირის წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევისთვის. თუმცა, თუ მოთამაშე ტოვებს მოედანს მსაჯის ნებართვის გარეშე და ჩაიდენს ამგვარ დარღვევას, როდესაც ბურთი თამაშშია, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა მსაჯის ნებართვის გარეშე მოედნის დატოვებით ჩადენილი დარღვევისთვის, სათამაშო მოედნის შემომსაზღვრელი ხაზის იმ წერტილიდან, სადაც მოთამაშემ დატოვა სათამაშო მოედანი.

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი

ბურთზე ხელით თამაშთან დაკავშირებული არეალის გაუმჯობესებული სურათი

იმ მიზნით, რომ უფრო ნათლად განისაზღვროს სხეულის ის ნაწილი, რომელიც მიჩნეულია ხელით თამაშად (ან არა), განახლებული იქნა ახსნაგანმარტებითი სურათი, რათა ნათელი იყოს, რომ მკლავი „იწყება“ იღლიის ქვედა ბოლოდან და არა მაისურის სახელოს ხაზიდან.


No handball
Handball
11
No handball
Handball
Handball
11

წესი 14 – 11 მ დარტყმა: მეკარის პოზიცია

1. პროცედურა

შეცვლილი ტექსტი

ბურთზე დარტყმის მომენტში, თავდამცველი მეკარის ერთი ტერფის ნაწილი მაინც უნდა ეხებოდეს კარის ხაზს, ~~ან~~ უნდა იყოს კარის ხაზთან ერთ დონეზე ან მის უკან.

განმარტება

ძველი ტექსტის მიხედვით მეკარე ვალდებული იყო ჰქონოდა თუნდაც ერთი ტერფის ნაწილი კარის ხაზზე/მის ზემოთ 11 მ დარტყმის (ან დარტყმებისას 11 მ ნიშნულიდან) შესრულების მომენტში. შედეგად, თუ მეკარის ერთი ტერფი იყო კარის ხაზზე, ხოლო მეორე მის უკან, ტექნიკურად ეს იყო დარღვევა, მიუხედავად იმისა, რომ რაიმე არასპორტული უპირატესობა მიღებული არ იყო. ტექსტი შეცვლილი იქნა, რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო ამგვარი მდგომარეობის დასჯა.

ამ ცვლილების განმარტებამ ხაზი უნდა გაუსვას, რომ წესების „სულისკვეთება“ მოითხოვს მეკარისგან ორივე ტერფი ჰქონდეს კარის ხაზზე/მის ზემოთ 11 მ დარტყმის შესრულების მომენტამდე, ე.ი., მეკარეს არ შეუძლია იდგეს კარის ხაზს უკან (ან მის წინ).